



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 778
27/04/2018

ქალაქი ბათუმი

778-05-4-201804271110



**„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 ლის 20 მარტის
№568 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 63-ე მუხლის თანახმად ვბრძანებ:

1. „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 ლის 20 მარტის №568 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი მატერილაურ - ტექნიკური უზრუნველყოფის საკლითხებში - მერაბ ბახტაძე.“

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა